№ 125

წელიწადი მეორე — წელიწადი მეორე

მთავრობის მოამბე — ყოველდღიური გაზეთი

ფასი 1 მან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს რესპუბლიკა

ოთხშაბათი, 11 ივნისი 1919 წ.

მთავრობის მოამბე, ყოველდღიური გაზეთი

(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)

## „საქართველოს რესპუბლიკა"

მიიღება ხელის მოწერა 1919 წლისათვის.

ხელის მოწერის ფასი: ერთი წლით—220 მ. ნახევარი წლით—110 მ., ერთი თვით 20 მ. ცალკე ნომერი ყველგან 1 მან. დამფუძნებელი კრების სტენოგრაფიული ანგარიშების დამატებით 2 მანეთი საყოლდებულო განცხადებანი დადგენილი ნიხრით, კერძო განცხადებანი შეთანხმებით. გაზეთზე ხელის მოწერა მიიღება დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ბარონის ქ. № 6, ტელეფონი 1—82.

## გამოვიდა და იყიდება
## გალაკტიონ ტაბიძის
## ლექსების მეორე ტომი

ჯერ-ჯერობით იყიდება: სასახლეში, კვესტორაში, გაზ. „ერთობის" და „საქართველოს რესპუბლიკის" რედაქციაში.

## ქართველთა სამუსიკო და საკვებლმოქმედო საზოგადოებანი

კონსერვატორიაში

პარასკევს, 13 თიბათვეს, მესამედ გაიმართება

## სასულიერო კონცერტი — ახალი — ლიტურღია

1034 მუსიკა დ. არაყიშვილისა. 2—1

## წლიური საზოგადო კრება

მომხმარებელთა საზოგადოების „ტფილისის კოოპერატივი" დანიშნულია კვირას, ივნისის 15-ს, დილის 10 საათზე ქალაქის საკრედიტო საზოგადოების ბინაზე (პუშკინის ქ., № 3) განსახილველი საკითხები: 1. 1918 წ. ანგარიში, 2. 1919 წ. ხარჯთაღრიცხვის პროექტი. 3. საზოგადოების ახალ წესდებასთან დაკავშირებული საკითხები: ა) გამგეობის მიერ ადებულ სესხის რაოდენობა, ბ. წესდებისა და ანგარიშის წიგნის ფასის დადება, გ. საზოგადოების წარმომადგენელთა არჩევა კავშირების რწმუნებულთა კრებაზე დასასწრებლად და სხვ. 4. ...ის გადიდება 40 მანეთამდე. 5. კოოპერატივში კონტროლის დაწესება. 6. კოოპერატივის დუქნებში ღვინის გაყიდვის შესახებ. 7. გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წევრთა და მათი კანდიდატების არჩევა. 8. მიმდინარე საკითხები. თუ ამ კრებაზე არ გამოცხადდა წევრთა კანონიერი რიცხვი, მეორე კრება, წესდების მე-32 პარაგრაფის თახხმად, დანიშნულია იმავე დღეს 11 საათამდე, იმავე ბინაზე და კანონიერად ჩაითვლება, მიუხედავად დამსწრე წევრთა რაოდენობისა. წევრებმა უნდა წარმოადგინონ საწევრო წიგნაკები. 574

გამოვიდა და იყიდება
სამთო ინჟენერის ი. ა. ყიფშიძის

## Краткія свѣдѣнія о горныхъ богатствахъ Грузіи.

...ხი ათი მან. საწყობი: სამთო-სამართველო ...რე დიდის ქუჩა, № 10, ტელეფონი 2—44 ...ავტორთან, ელისაბედის ქუჩა, № 98. ტელეფონი 13—51. 742 3—2

## ოფიციალური განყოფილება.

## კანონი

...რესპუბლიკის რკინის გზის,—კატეგორიის გარეშე მყოფ,—აგენტების ჯამაგირების მომატებისა.

1919 წლის იანვრის 1-დან 6 მოუმატოს ჯა... ...რკინის გზის ქვემო აღნიშნულ მოხე...

...სუმნო და საამბულატორო ექიმებს.

...ორდინატორებს, საშუალო ცეხების გამ...

...დოსტაქარს, პროზექტორს, სათადარიგო ექიმს, იურისკონსულტის უმცროს თანაშემწეს.

4) სამოძრაო ნაწილის პირად შემადგენლობის უფროსს, სამოძრაო ნაწილის განყოფილებათა უფროს, სასანიტარო ექიმს.

5) საკომერციო ნაწილის რევიზორ-ინსტრუქტორს, იურისკონსულტის უფროს თანაშემწეს, საავადმყოფოს გამგეს, სალიანდაგო და შენობათა ნაწილის მიწათა გამფარგლავ აგენტს, მოძრაობის რევიზორს, პირველი კლასის უფროსს, დიდი ცეხების გამგეს, სალიანდაგო შენობათა ნაწილის ბუჰლალტერს, საშემოსავლო ნაწილის აღმრიცხველ საანგარიშო განყოფილების უფროსს, გზათა სამმართველოს მდივანს.

6) სამოძრაო ნაწილის ბუჰლალტერს, მთავარ ბუჰლალტერის უმცროს თანაშემწეს, სამეხანიკო ნაწილის ბუჰლალტერს, მოძრაობის უფროს რევიზორს.

7) საშემოსავლო ნაწილის უფროსის თანაშემწეს, სალიანდაგო და შენობათა ნაწილის უბნის უფროსს, რომელსაც საშუალო ან მცირე ჯამაგირი ეძლევა; სამოძრაო ნაწილის ტექნიკურ-განმანაწილებელ განყოფილების გამგეს, საელექტრონო ნაწილის უფროსს, სამეხანიკო ნაწილის სავაგონო განყოფილ. უფროსს, სამეხანიკო ნაწილის ტეხნიკურ განყოფილების უფროსს, სამეხანიკო ნაწილის უბნის უფროსს, მთავარ ბუჰლალტრის 1-ელ თანაშემწეს, სამასალო განყოფილების უფროსს, საექიმო ნაწილის უფროსს, ორთქლმავალთა განყოფილების უფროსს, სალიანდაგო და შენობათა ნაწილის უფროს ინჟენერს სატეხნიკო მეცადინეობისათვის, მთავარი სახელოსნოთა უფროსის თანაშემწეს, სალიანდაგო და შენობათა ნაწილის ტეხნიკურ განყოფილების უფროსს, ნავთსადენის ნაწილის უფროსის თანაშემწეს.

8) ტელეგრაფის გამგეს, სამოძრაო ნაწილის უფროსის თანაშემწეს, გზათა უფროსთან განსაკუთრებულ მინდობილობათა ინჟენერს, სალიანდაგო და შენობათა ნაწილის უბნის უფროსს, რომელსაც უდიდესი ჯამაგირი ეძლევა.

9) იურისკონსულტს, სალიანდაგო და შენობათა ნაწილის უფროსის თანაშემწეს, საკომერციო ნაწილის უფროსს.

10) საშემოსავლო ნაწილის უფროსს, ნავთსადენის ნაწილის უფროსს, მთავარ ბუჰლალტერს.

11) მთავარ სახელოსნოთა უფროსს, საშემოსავლო ნაწილის უფროსს.

12) გზათა უფროსის თანაშემწეს, სამეხანიკო ნაწილის უფროსს, სალიანდაგო და შენობათა ნაწილის უფროსს.

13) გზათა უფროსს.

II. ეს მომატება ჯამაგირისა მოხდეს შემდეგი რაოდენობით:

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1. | ვინც იღებს | 8.214 მ.— | 8.480 | მ-დე | 28°/₀ |
| 2. | „ „ | 8.481 „ | 8 680 | „ | 27°/₀ |
| 3. | „ „ | 8.682 „ | 9.005 | „ | 26°/₀ |
| 4. | „ „ | 9.006 „ | 9.485 | „ | 25°/₀ |
| 5. | „ „ | 9.486 „ | 10.005 | „ | 24°/₀ |
| 6. | „ „ | 10.006 „ | 10.345 | „ | 23°/₀ |
| 7. | „ „ | 10.346 „ | 10.980 | „ | 22°/₀ |
| 8. | „ „ | 10.981 „ | 11.480 | „ | 21°/₀ |
| 9. | „ „ | 11.481 „ | 12.140 | „ | 20°/₀ |
| 10. | „ „ | 12.141 „ | 12.936 | „ | 19°/₀ |
| 11. | „ „ | 12.937 „ | 14 680 | „ | 18°/₀ |
| 12. | „ „ | 14 681 „ | 15.780 | „ | 15°/₀ |
| 13. | „ „ | 15.781 „ | 21.780 | „ | 11°/₀ |

III. გაღებულ იქნეს სახელმწიფო ხაზინიდან ამ კანონის მეორე მუხლში აღნიშნულ ხარჯის დასაფარავად 1919 წლ. იანვრის 1-დან მაისის 1-მდე ოთხმოცდა შვიდი ათას სამას სამოცი (87.360) მანეთი.

1919 წ. მაისის 30.

საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი

ალ. ლომთათიძე.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანია.

## ბრძანებები

№ 53.

22 მაისი, 1919 წ.

ქალ. ტფილისი.

**ინიშნება:** გრიგოლ ტარასის ძე მაჭავარიანი გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" რედაქციის მდივნად.

№ 55.

**ინიშნება:** საექიმო სასანიტარო განყოფილების უფროსის თანაშემწის მოვალეობათა აღმასრულებელი კაპიტონ გრიგოლის ძე მეუნარგია—იმავე განყოფილების უფროსის მოვალეობათა აღმასრულებლად.

**დათხოვნილია:** საექიმო-სასანიტარო განყოფილების უფროსის თანამდებობის აღმასრულებელი ი. ს. ელიაშვილი, თანამდებობიდან და სრულიად სამსახურიდან, თანახმად მისი თხოვნისა.

მინისტრის ამხ. ჰიჰინაძე.

კანცელარიის დირექტორი ი. აფაქიძე.

№ 51.

**გზათა დეპარტამენტის დირექტორისა.**

6 მაისი, 1919 წ.

სახაზინო რკინის გზის უფროსს და კახეთის რკინის გზის მმართველს.

ცნობები მატარებლის გარბენისა და სათბობ მასალის სათანადო ხარჯვისა მარწმუნებენ, რომ რკინის გზებზე აქვს ადგილი ნავთის ზედმეტ დაწვას ორთქმავლებში. ვიღებ რა მხედველობაში აღნიშნულ მასალის შეძენის სიძნელეს და აგრეთვე იმას, რომ რაც მეტს ვყიდულობთ უცხო ქვეყნიდან ნავთს, მით უფრო ვაძნელებთ ჩვენი რესპუბლიკის ისედაც შევიწროებულ ფინანსიურ მდგომარეობას, გავალებთ დაუყოვნებლივ შეუდგეთ ნავთზე პრემიის შემოღების ინსტრუქციის შედგენას და ეს ინსტრუქცია არა უგვიანეს ორი კვირისა წარმომიდგინოთ დასამტკიცებლად.

ამ ინსტრუქციას საფუძვლად უნდა დაედოს შემდეგი პრინციპები:

1) დაკანონდეს ნორმალური ხარჯვა ლიანდაგის სხვა და სხვა ნაწილზე და ორთქმავლის სხვა ტიპისათვის;

2) ეს ნორმა სასტიკად გატარებულ იქმნას ცხოვრებაში და იმათ წინააღმდეგ ვინც ზედი-ზედ არღვევს მას, მიღებულ იქმნას ადმინისტრატიული ზომები;

3) მეტ დაწვისათვის ბრიგადას ჯამაგირიდან არაფერი არ ერიცხება, ხოლო დაცულ უნდა იქნას მე-2 მუხლში აღნიშნული პირობა და

4) გაწეულ ეკონომიიდან განსაზღვრული ნაწილი ეძლევა ბრიგადას, როგორც ჯილდო დამატებად ჯამაგირისა, ხოლო დანარჩენი ხაზინის მოგებას წარმოადგენს.

ნორმის დასაწესებლად, თანახმად სამეხანიკო ნაწილში არსებულ მასალებისა, აგრეთვე ინსტრუქციის შესადგენად, ეკონომიისაგან ჯილდოდ მისაცემ პროცენტის დასადგენად და ამ ჯილდოსი მემანქანეს და მისი თანაშემწის შორის გასანაწილებლად-შეადგინეთ მცირე კომისიები (არა უმეტეს 5 კაცისა) ორთქლმავალთა ბრიგადების სექციის წარმომადგენელთა და სამეხანიკო ნაწილის ადმინისტრაციის მონაწილეობით და თქვენი თავმჯდომარეობით,

მივაქცევ თქვენ ყურადღებას იმას, რომ ამ საკითხს აქვს დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა და ამიტომ საჭიროა მუშაობა აწარმოოთ ჩქარი და ენერგიული ტემპით.

№ 52.

15 მაისი, 1919 წ.

ძირითად პარკის გამგეს.—ასლი: კახეთის რკინის გზების უფროსს და სამასალო განყოფილების უფროსს.

ძირითად პარკის სარევიზიოდ ვნიშნავ სასწრაფო რევიზიას, რომლის მოხდენას ვავალებ სახაზინო რკინის გზათა სამასალო ნაწილის აგენტს ნიკოლოზ ერმოლის ძე ერმოლაევს. წინადადებას გაძლევთ ყოველ მხრივ ხელი შეუწყოთ ბ. ერმოლაევს თავის მოვალეობის ასრულებაში და ამგვარივე განკარგულება გასცეთ თქვენდამი რწმუნებულ პარკის მოსამსახურეთა სახელზე.

№ 54.

19 მაისი, 1919 წ.

სახაზინო რკინის გზათა უფროსს და კახე-

თის რკინის გზის მმართველს. ასლი: ვაჭრობა-მრეწველობის დეპარტამენტის დირექტორს.

მთავრობის განკარგულებით აკრძალულია სად. ტფილისიდან აღმოსავლეთისა და სამხრეთის მიმართულებით გაზიდვა ყოველგვარ სურსათ-სანოვაგისა თუ ამის შესახებ არ არის სპეციალური ნებართვა მიწათ-მოქმედების, გზათა და შრომის მინისტრისა. გაცნობებთ რა ამას, წინადადებას გაძლევთ დაუყოვნებლივ მიიღოთ სათანადო ზომები აღნიშნულ დადგენილების სისრულეში მოსაყვანად და ცხოვრებაში გასატარებლად. თქვენდამი რწმუნებულ სამართველოს ნაწილებისა და ლიანდაგის პასუხისმგებელ აგენტებს მიეცეთ სახელმძღვანელო განმარტება ამ წესის დაცვისა და სავალდებულოდ მიჩნევის შესახებ.

გზათა დეპარტამენტის დირექტორი
ბ. ჭიჭინაძე.

შინა ინფორმაციის განყოფილება

# მთავრობაში

## 3 ივნისის სხდომა.

სხდომას თავმჯდომარეობს მთავრობის თავმჯდომარე ბ-ნი ნ. ჟორდანია.

სხდომას დაესწრნ: მინისტრები ბ. ბ.: ხომერიკი, გეგეჭკორი, რამიშვილი, კანდელაკი. სახელმწიფო კონტროლიორი ბ. გოგიჩაიშვილი. მინისტრთა ამხანაგები: ბ. ბ.: ჭიჭინაძე, ცინცაძე, ერაძე, გედევანიშვილი, საბახტარიშვილი, გზათა დეპარტამენტის დირექტორი ბ. ჭიჭინაძე, ფინანსთა მინისტრის დეპარტამენტის დირექტორი ბ. ჭანტურიშვილი. საქმეთა მმართველი კ. ჯაფარიძე. მდივნობს დ. დიდებულიძე.

**სატრანსპორტო საზოგადოების შუამდგომლობა.**

საქართველოს სატრანსპორტო საზოგადოების აქციონერთა მიერ აღძრული საკითხის განხილვა მათთვის საჭირო ქონების გადაცემის შესახებ, სავსებით გამორკვევა და მთავრობისთვის მოხსენება დაევალოს დაინტერესებულ უწყებათა წარმომადგენლებს (გზათა, ფინანსთა და სახელმწიფო კონტროლის) გზათა მინისტრის თავმჯდომარეობით და აღნიშნულ საზოგადოების წარმომადგენლების თანადასწრებით.

**სურსათის შეძენა.**

ქუთაისის გუბერნიის ერობებს და ქალაქთა თვითმართველობებს მიეცეთ უფლება შეიძინონ აღნიშნულ გუბერნიაში მათთვის საჭირო ხორბლეულობა.

**დეკრეტი.**

დეკრეტი საქართველოს რესპუბლიკის ჯართა ნაწილებიდან გაქცევის საწინააღმდეგო ზომებისა მოწონებულ იქნას და წარედგინოს დამფუძნებელ კრებას.

**კრედიტის გახსნა.**

გადაიდო შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებაში მოხსენებაში აღნიშნული საჭიროებისათვის 166,444 მან 25 კაპ. ე. ი. ის თანხა, რომლის გასამართლებელი საბუთები უკვე წარედგინა კონტროლს. დანარჩენი თანხა გაღებულ იქნას გასამართლებელ საბუთების წარდგენის მიხედვით.

**პროექტი საქონლის გაცვლა-გამოცვლაზე.**

პროექტი საქონლის გაცვლა-გამოცვლის ორგანიზაციისა მოწონებულ იქნას იმ პირობით, რომ გადათვალიერებულ და სათანადო წესრიგში იქმნება მოყვანილი იურისტების მიერ.

**დ ე კ რ ე ტ ი.**

დეკრეტი მთავრობის განკარგულებაში 20 მილიონი მანეთის გადადების შესახებ ადგილობრივ საქონლის უცხოეთში გასაგზავნათ დასამზადებლათ და უცხოურ საქონლის საქართველოში შემოსატანად, მოწონებულ იქნას და გადაეცეს დამფუძნებელ კრებას.

**სანოვაგე ტუსაღთათვის.**

გადაიდოს იუსტიციის მინისტრის განკარგულებაში ტუსაღთა სანოვაგისთვის საჭირო 100,000 მანეთი 10 მილიონიან ფონდიდან იმ პირობით, რომ ეს თანხა უკანვე დაუბრუნდეს ხაზინას, როდესაც საკანონმდებლო წესით სამინისტროს გაეხსნება შესაფერი კრედიტი.

# სახალხო განათლების სამინისტროში.

**ჩოროცკუს სკოლის თხოვნა.**

ზუგდიდის მაზრის სოფ. ჩოროცკუს საზოგადოებამ დამფუძნებელ კრების პრეზიდიუმთან შუამდგომლობა აღძრა, რათა მათი უმაღლეს დაწყებითი სასწავლებელი მიღებულ იქმნას სახელმწიფო ხარჯზე. ჩოროცკუელების თხოვნა დამფ. კრების პრეზიდიუმმა გადასცა განათლების სამინისტროს განსახილველად.

**ბოლდადის სკოლის ზარალი.**

წასულ წელს სოფ. ბოლდადის უმაღლეს პირველ დაწყებითი სასწავლებლის შენობაში ერთხანად დაბანაკებული იყო ქართველი ჯარის ნაწილი, რომელმაც ისე დააზიანა ეს შენობა, რომ მისი შეუკეთებლივ იქ სწავლა-მეცადინობა შეუძლებელი გახდა. ამიტომ ამ სასწავლებლის პედაგოგიურმა საბჭომ შუამდგომლობა აღძრა მთავრობის წინაშე 6620 მან. გაღების შესახებ ასანაზღაურებლად ჯარისგან მიყენებულ ზარალისა, ეს სასწავლებელი სთხოვს განათლების სამინისტროს შეეხმაროს მთავრობას აღძრულ საკითხის გამო და იშუამდგომლოს ბოლდადელების თხოვნის დაკმაყოფილების შესახებ.

**წ. კ. სკოლები გორის მაზრაში.**

გორის სამაზრო ერობის გამგეობამ მოახსენა განათლების სამინისტროს, რომ ერობას განზრახული აქვს მომავალ სასწავლო წლიდან მიიღოს თავის მართა-გამგეობაში წ. კ. გამავრც. საზოგადოების შემდეგი სკოლები. ატენისა, წინარეხისა და ვარიანისა (იაკობ გოგებაშვილის სახელობისა) და რომ წ. კ. საზოგადოება უსახსრობისა გამო ერობას უარს ეუბნება ამ სკოლების შენახვისათვის საჭირო თანხის მიღებაზე. ამიტომ გორის ერობა სთხოვს სამინისტროს, რომ წ. კ. საზ. დასახელებულ სკოლათა შენახვა იკისროს თითონ სამინისტრომ და საამისო კრედიტიც გაუხსნას ერობას. ამ თხოვნის განხილვა მინდობილი აქვს დაბალ სკოლათა მთავარ გამგეს გ. ჭუმბურიძეს.

**ტფ. მერვე გიმნაზიის ბედი.**

ტფ. სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, პროფ. პ. მელიქიშვილი მოახსენებს განათლების მინისტრს, რომ უნივერსიტეტის გამგეობა ამჟამად შეუდგა თავის შენობაში საჭირო რემონტსა და ლაბორატორიების მოწყობას, მაგრამ მას ხელს უშლის ის გამგეობა, რომ უნივერსიტეტის შენობის ერთი ნაწილი დაჭერილი აქვს ტფ. ვაჟთა მერვე გიმნაზიას (ყ. სასულიერო სემინარიას) და ამიტომ შუამდგომლობს განკარგულება გაიცეს, რათა ხსენებული გიმნაზიამ დასცალოს უნიერსიტეტის შენობა წინააღმდეგ შემთხვევაში—მოახსენებს რექტორი მინისტრს—ორი კვირის შემდეგ უნივერსიტეტის გამგეობა იძულებული იქნება გიმნაზიის ინვენტარი თვითონ გაიტანოს შენობიდან და მოათავსოს ფიცრულში, სადაც ის უზრუნველყოფილი არ იქნება ყოველ გვარ მოულოდნელობისაგანო.

**კომისია დ. მანგლისში.**

ის კომისია, რომელსაც მინდობილი ჰქონდა დ. მანგლისში გამგზავრება ადგილობრივ ყ. კადეტთა კორპუსისეულ აგარაკის და მის ქონების ჩაბარება, მიემგზავრება ნაცვლად წარსულ შაბათისა, როგორც ეს განზრახული იყო, მიმდინარე ხუთშაბათს, 12 ივნისს.

**ბუნებისმეტყველთა და გეოგრაფთა კომისია.**

ამას წინად სახალხო განათლების სამინისტროსთან შემდგარი საგნობრივი კომისიები უკვე შეუდგნენ თავიანთ მუშაობას. კერძოდ ბუნებისმეტყველთა და გეოგრაფოსთა კომისიამ რამდენიმე სხდომა უკვე მოაწყო, მოიწვია კოოპტაციის უფლებით ისეთნი პირნი, რომელთაც თავიანთ ცოდნით და გამოცდილებით შეუძლიან კომისიაში ნაყოფიერი მონაწილეობის მიღება, და ორი ივნისის სხდომაზე, რომელსაც დაესწრო ცამეტი წევრი, მოახდინა თავის პრეზიდიუმის არჩევანი.

თავმჯდომარედ ამ კომისიისა არჩეულ იქმნა ცნობილი ანთროპოლოგოსი ალექს. ნიკ. ჯავახიშვილი, თავმჯდომარის ამხანაგად—ტფ. ვაჟთა მეოთხე გიმნაზიის დირექტორი—მიხ. ზაალიშვილი, ხოლო მდივნად კავკასიის მუზეუმის დირექტორი—ნოე ყიფიანი. კომისიამ მიმართა განათლების სამინისტროს სათანადო შუამდგომლობით, რათა მან გადაეცეს განსახილველად მისი დარგის შესახებ სახელმძღვანელო და საკითხავი წიგნები, რაც კი სამინისტროს ამ ბოლო დღეებში მოსვლია.

# შინაგან საქმეთა სამინისტროში.

**ხარჯების დაფარვის გამო.**

გზათა დეპარტამენტის დირექტორმა აცნობა შინაგან საქმეთა მინისტრს, რომ გზათა უწყება წინააღმდეგია ლტოლვილთა ხარჯების დასაფარავათ სახაზინო და კახეთის რკინის გზებზე მგზავრთა ბილეთებსა და ბარგზე დამატებით ლტოლვილთა გადასახადის დაწესების იმ მოსაზრებით, რომ ეს გაართულებს გზათა სამმართველოს შემოსავალთა ნაწილის მუშაობას და რაც უმთავრესია სასურველი არ არის ამ ჟამათ რკინის გზის სამგზავრო ბილეთების ფასის მომატება.

**ფოსტის მუშაობისთვის.**

დუშეთიდან ერობის გამგეობის წევრი ბ. ჩიმაკაძე დეპეშით ატყობინებს, რომ „ადმინისტრაციის მიერ ყოველივე ზომებია მიღებული, რომ არავინ დაესხას ფოსტის ავტომობილს. 31 მაისიდან გვარდიელების მობილიზაციაა გამოცხადებული და განსაკუთრებულ დარაჯთ ჩავაყენებთ. დასსრულ ბ. ჩიმაკაძე სთხოვს მინისტრს უბრძოს განკარგულება, რომ ფოსტის მიმოსვლა არ შეჩერდეს.

—

დუშეთიდანვე ბ. მინისტრს მაზრის კომისარი სარჯველაძე ამავე საგანზე დეპეშით ატყობინებს, რომ სადაც ყაჩაღთა თავდასხმა ხდება იქ ყველგან მილიციონერები დგანან, ფოსტას მცხეთიდან ყაზბეგამდე მილიციონერები გააცილებენ. დასასრულ მაზრის კომიკომისარიც სთხოვს ბ. მინისტრს, რომ აღდგენილ იყოს ფოსტის მიმოსვლა.

# ფინანსთა და ვაჭრობა მრეწველობის სამინისტროში.

**ახალი საზოგადოება „საქართველო“**

ფინანსთა და ვაჭრობა მრეწველობის მრეწველობის მინისტრს წარუდგა ეკონომიის მეცნიერების დოქტორი ტ. თ. მარგველაშვილი და დაწვრილებით მოახსენა ახალ სავაჭრო სამრეწველო საზოგადოება „საქართველოს“ დაარსების შესახებ. ბ. მარგველაშვილმა მოახსენა ბ. მინისტრს, რომ წინასწარ მოლაპარეკების შემდეგ უცხოელებთან არსდება ახალი სავაჭრო-სამრეწველო-სააქციონერო საზოგადოება 10 მილიონიან ფონდით. თითო პაი 500 მანეთი ეღირება. საქმის ორგანიზაცია უკვე მომთავრდა საქართველოს სხვა და სხვა ქალაქებში, შესდგა უკვე ტფილელ ვაჭართა პირველი კრება, რომელიც მხურვალე თანაგრძნობითვე შეხვდა ამ საქმეს, როგორც ქუთათური ვაჭრები, რომელთა რწმუნებითაც ბ. მარგველაშვილს მინდობილი აქვს საერთო ხელმძღვანელობა ამ ორგანიზაციის მოსაწყობათ მთელ საქართველოში. ორგანიზაცია უკვე დაწყებულია ტფილისს, ქუთაისს, გორსა დ ზუგდიდში. მთელი მასალები ამ საქმის შესახებ უკვე დაეგზავნათ საქართველოს ყველა ქალაქებს და თვით ბ. მარგველაშვილიც ამ დღეებში მიემგზავრება ამ საქმეზე საქართველოს დანარჩენ დაბა ქალექებში; ბ. მინისტრმა გულდასმით მოისმინა ეს მოხსენება ძლიერ მოიწონა ამ ახალ დიად მნიშვნელოვან საქმის დაწყება უსურვა ამ ახალ საზოგადოებას აღორძინება, ხოლო თავის მხრივ შეჰპირდა ყოველივე დახმარებას.

# ე რ ო ბ ა

## სენაკის სამაზრო ერობაში.

**მომრიგებელ მოსამართლეთა რაიონების შესახებ.**

I.

რესპუბლიკის პარლამენტის კანონით სენაკის მაზრაში უნდა არჩეულიყო ოთხი მომრიგებელი მოსამართლე. სამაზრო ერობის ყრილობას უნდა გაენაწილებია მათ შორის მაზრა და დეეცვა ერთგვარი თანასწორობის პრინციპი.

ყრილობა ცდილობდა გამოეჭრა მაზრაში ოთხი ისეთი სამომრიგებლო უბანი, რომ მათ შორის საქმეების განაწილება ყოფილიყო შედარებით თანაბარი. ამით, რა თქმა უნდა, ძირითადი აზრი კანონმდებლის-დაახლოვება მოსამართლეების ხალხთან და საქმეების დროზე გარჩევა-იქნებოდა დაცული, მაგრამ ასეთი განაწილება ოთხ სამომრიგებლო უბნად ვერ მოხერხდა მაზრის გეოგრაფიული მდგომარეობის გამო. მაზრა იყოფა ორ თვალსაჩინო ნაწილად მთიან და ვაკე სამეგრელოდ.

ვაკე სამეგრელო მეტად მჭიდროთაა დასახლებული და, რადგან აქ ეკონომიური ცხოვრება უფრო გაჩაღებულია ამ ნაწილში თავს იყრის აუარებელი საქმეები, მაშინ როდესაც ზემო სამეგრელოში მოსახლეობა ნაკლებია და ტერიტორიის სივრცე კი დიდი.

მიიღო რა ყველა ეს ყრილობამ მხედველობაში, და აგრეთვე პირდაპირ შეუძლებლობა მომრიგებელ მოსამართლების უკვე ძველად არსებულ პუნქტებიდან სხვაგან გადატანისა (ახალ სენაკი, ბანძა, ნოღალევიდან), მასთან საჭიროება აბაშის რაიონში მომრიგებელ მოსამართლის უბნის გახსნაზე, დაადგინა: დარჩეს სასამართლო ახალ-სენაკში, სადაც იყო უწინ და დაარსდეს ცალკე აბაშაშიც. ვინაიდან ასეთი განაწილებით დიდი ნაწილი მთიან ადგილების ძლიერ მოშორებულად დარჩა ამ პუნქტებს, ყრილობამ დაადგინა გაიხსნას მეხუთე უბანი სალხინოს-კიწიის რაიონში.

თანახმად ამ დადგენილებისა მაზრის საერობო გამგეობა შუამდგომლობს სამინისტროს წინაშე, რომ ეს დადგენილება იქნეს მიღებული მხედველობაში [illegible] სამომრიგებლო უბანი კიწია-სალხინო-თამაკონი-კურზუს [illegible] გამგეობისათვის არ შეადგენს საიდუმლოებას, რომ ამ მეხუთე მოსამართლის შტატის შემოღება შეიძლება მოხდეს მხოლოდ საკანონმდებლო გზით, მაგრამ გამგეობას აქ მხედველობაში აქვს შემდეგი გარემოება.

სენაკის და ზუგდიდის მაზრა ქალაქ ფოთითურთ შეადგენს სამეგრელოს სამომრიგებლო ოლქს ქ. ფოთისთვის იმავე კანონით განსაზღვრულია 2 მოსამართლე და 2 გამომძიებელი, მაშინ როდესაც ფოთისთვის სრულიად საკმარისია ერთი მოსამართლე, რადგან საქმეების რაოდენობა როგორც ძველად ისე ახლაც მეტად მცირეა, რაც აიხსნება მით რომ ფოთს არ აკრავს ირგვლივ დასახლებული სოფლები და სასამართლოში თავს იყრის მარტოდ მარტო ქალაქის საქმეები და ისიც მცირე რიცხვის.

ქ. ფოთის დემოკრატიული თვითმართველობა იმ ცნობების თანახმად, რომელიც ერობის გამგეობის განკარგულებაშია, წინააღმდეგი არ არის ზემოდ მოყვანილი მოსაზრების. გამგეობა თავისი მხრით დარწმუნებულია, რომ იუსტიციის სამინისტრო მიიღებს მხედველობაში ამ საჭიროებას და დროებით დაამტკიცებს სამაზრო ერობის შუამდგომლობას. წინააღმდეგ შემთხვევაში მაზრის თვალსაჩინო ნაწილი სრულიად მოწყვეტილი იქნება სასამართლოს, რაც თავის მხრით დიდათ შეაფერხებს იმ უფლებრივ წყობილების დაცვას, რასაც ემსახურება როგორც იუსტიციის სამინისტრო, ისე სამაზრო ერობაც.

II.

თანახმად სამაზრო ყრილობის დადგენილებისა, სენაკის მაზრა დაყოფილ იქნა ხუთ სამომრიგებლო უბნად, სახელდობრ: სენაკის, აბაშის, ბანძის, მარტვილის და კიწია-სალხინოს.

მომრიგებელ მოსამართლენი უნდა იყვნენ დასახელებულ პუნქტებში. სენაკის უბანში შედის შემდეგი სოფლები:

1. ქ. ახალ-სენაკი, 2. თეკლათი, 3. ნატოჩავო, 4. ძონძირი, 5. გოლასკური, 6. სახარბედიო, 7. შხეფი, 8. ისულა, 9. ტყირი, 10. რეკა, 11. სირიაჩქონი, 12. ჭალა-დიდი, 13. საქორქიო, 14. სალვამიჩავო, 15. საჭოჭიო, 16. საგვიჩიო, 17. საჯოლიო, 18. ნოსირი, 19. წყემი, 20. ეკი, 21. საწულეისქირიო, 22. ძველ-სენაკი, 23. საჩიქობავო, 24. უფლისკარი, 25. კოტიანეთი, 26. სორტა, 27. გეჯეთი.

2. აბაშის უბანში:

1. კვათანა, 2. კაპანა, 3. მაცხოვრის-კარი 4. ნოღოხაში, 5. რომა, 6. საჩინიო, 7. საკაჭარავო, 8. საგვაზავო, 9. ზანათი, 10. საბოკუჩავო, 11. ნაესაკოვო, 12. ეწერი 13. კოდორი, 14. ცილორი, 15. წალიკარი, 16. გულეიკარი, 17. ტოლები, 18. კეთილარი, 19. ეკალი, 20. ქორეისუბანი, 21. ბულვანი, 22. გაუწყნარი, 23. გუგუნაკათი, 24. ილორი მეორე და მესამე, „პირველი ეკუთვნის სამტრედიას.“ 25. ტყემლარი, 26. ქვიშანჭალა, 27. კოდორი, 28. ონტოფო, 29. აბაშა.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: სენაკის მაზრა. 1. გულუხეთი, 2. სამიქავო, 3. მაიდანი, 4. დიდი გეზათი, 5. ქოლობანი, 6. პატარა გეზათი, 7. ნაწილი გუგუნაკათი ბულვანი. ესენი შედიან სამტრედიის სამომრიგებლო უბანში.

3. ბანძის უბანში:

1. ბანძა, 2. ვედიდკარი, 3. შუხუტი, 4. ლეხაინდრავო, 5. ონოღია, 6. ნაგებეროვო, 7. ნაჭიხავო, 8. ჭოლევი, 9. აბედათი, 10. სეფიეთი, 11. ორქა, 12. ნოქალაქევი, 13. ფოცხო, 14. მოხაში, 15. უშაფათი, 16. ბეთლემი, 17. ნაჩილაჩავო, 18. მოხაში, 19. ლეგოგინე, 20. ლესაჭე, 21. ლეძაძამე, 22. ყვაუთი.

ნაოღალევის უბანში:

1. კინჩხა, 2. გორდი, 3. რანდიში, 4. ლეველი, 5. დიდლვაბუნა, 6. ყუტკი, 7. ნოღა, 8. სუმაჩოხა, 9. ნაგვაზავო, 10. ხუნწი, 11. სუხჩე, 12. ნოჯიხევი, 13. ნახუნოვო, 14. ბომბოთი, 15. სერგიეთი, 16. მარტვილი, 17. ნახარებავო, 18. ლეციცხვაიე, 19. ინჩხური, 20. ნალეპსოვო, 21. საელიავო, 22. ბალდა, 23. ლებაჩე, 24. სკურდი.

5. კიწია-სალხინოს უბანში:

1. სალხინო, 2. გალი, 3. გოდოგანი, 4. დღვანი, 5. ეწერი, 6. ჭინოთი, 7. კურზუ, 8. ნობულევი, 9. ლეცავე, 10. ოჩე, 11. ცანხური, 12. თამაკონი, 13. გურძემი, 14. თარგამაული, 15. ნამიკოლოვო, 16. კიწია, 17. ალავერტი, 18. ნოღა, 19. დომაკი, 20. ნახურცილავო.

მომრიგებელ მოსამართლეებად არჩეულ იქნენ: ბარნაბა გიორგის ძე გამსახურდია, ილია პროხორის ძე ხაჯომია, ვარლამ კონსტანტინეს ძე ასათიანი, იოსებ ნიკოლოზის ძე გვათუა, და სამსონ იოთამის ძე გამყრელიძე.

ამათ კანდიდატებათ არჩეულ იქნენ: ისდორე ქორდანია და მიხეილ გაბუნია.

ზემო ხსენებულ პირთა თხოვნები და ნამსახურების სიები გევზავნებათ ამასთანავე.

შენიშვნა: ზემო ნაჩვენებ შუამდგომლობის პირი ეგზავნება ქუთაისის საოლქო სასამართლოს და ფოთის თვითმართველობას. სამაზრო ერობის გამგეობა იმედს გამოსთქვამს, რომ სამინისტრო თავის განკარგულებას აღძრულ შუამდგომლობაზე რაც შეიძლება დაჩქარებით შეატყობინებს საერობო გამგეობას.

# მუნიციპალური ცხოვრება

## ქუთაისის თვითმართველობაში.

ქალაქის საქმეების გამო ქალაქის მოურავის ამხანაგი ს. რობაქიძე ტფილისს გაემგზავრა, მისი მოვალეობის ასრულება ქალაქის გამგეობის წევრს ანტონ მეფისაშვილს დაეკისრა.

—

ქალაქის მოურავი დ. ი. კალანდარაშვილი რომელიც ამ ორი კვირის წინად ავად გახდა ამ ჟამად თავს უკეთ გრძნობს. ის სულ ახლო მომავალში შეუდგება თავის მოვალეობის ასრულებას.

—

ქალაქის გამგეობის წევრი ნიკოლოზ საყვარელიძე ქალაქ ქუთაისის საჭიროებისათვის სიმინდის შესაძენათ სამეგრელოში გაემგზავრა.

—

შესდგა ქალაქის საბჭოს ადმინისტრატიული კომისიის წევრების სხდომა. კომისიამ მილიციის უფროსის თანამდებობაზე სხვა მრავალ კანდიდატთა შორის სასურველ კანდიდატათ იცნო მხოლოდ ფოთის მილიციის უფროსი მაღნარაძე და დაადგინა: საბჭოს დასამტკიცებლათ ქუთაისის მილიციის უფროსის თანამდებობაზე მაღნარაძე წარუდგინოს.

—

ქალაქის გამგეობამ დაადგინა: მიეცეს ქალაქის სალაროდან ჩვენ დამსახურებულ მსახიობ ქალს ნინო ჩხეიძეს საიუბილეო საჩუქრათ ხუთი ათასი (5000 მ.) მანეთი, გარდა ამისა საიუბილეო წარმოდგენა განთავისუფლებულ იქნეს ქალაქის სასარგებლო გადასახადიდან.

—

ქუთაისის ქალაქის გამგეობამ მოწერილობა მიიღო დამფუძნებელ კრების სახალხო განათლების კომისიისაგან.—კომისია ამ მოწერილობით თხოვს ქალაქის გამგეობას მიაწოდოს მას (კომისიას) ტფილისში ცნობები, თუ რამდენია ქალაქ ქუთაისში სახაზინო და არა სახაზინო პირველ-დაწყებითი, უმაღლეს პირველ-დაწყებითი, სატეხნიკო-საპროფესიო სკოლები და საშუალო სასწავლებლები; რა მდგომარეობაში იმყოფებიან ეს სკოლები, სასწავლებლები საერთოდ, და ცალ-ცალკე განკერძოებით თითეული სკოლა და სასწავლებელი? არის თუ არა საჭირო ახალი სკოლის დაარსება; თუ არის სად და რა ტიპის? როგორია სკოლების ნივთიერი მდგომარეობა და სხვა.

—

ქალაქში ეპიდემიასთან მებრძოლი რაზმის ცნობით ქუთაისში %-ი სიკვდილის შავი სახადისაგან ამ კვირა-საგრძნობათ შემცირდა.

ქუთაისის ქალაქის საბჭომ თავის უკანასკნელ სხდომაზე ქუთაისის სავაჭრო სამრეწველოებში მოსამსახურეთათვის მიიღო და დააკანონა ცხოვრებაში 8 საათის სამუშაო დღის განსახორციელებელი წესები.—ამ წესების უცვლელად დაცვა და ცხოვრებაში გატარება საბჭომ დააკისრა ქალაქის მილიციის უფროსს.

## ტფილისის თვითმართველობაში.

### 7 ივნისის სხდომა.

სხდომას თავმჯდომარეობს ბ-ნი ა. ს. ლომთათიძე.

ქალაქის მოურავი ბ-ნი ჩხიკვიშვილი მოხსენებას აკეთებს ათ მილიონიან მანეთის სესხის აღების შესახებ. ქალაქის მოურავის განმარტებიდანა სჩანს, რომ ქალაქის გამგეობის დადგენილების თანახმათ საბჭომ შუამდგომლობა აღძრა მთავრობის წინაშე, რომ ქალაქის გამგეობას მიეცეს 10 მილიონი მანეთი სესხის სახით. მთავრობა დასთანხმდა მიეცეს ეს თანხა სესხის სახით იმ პირობით, რომ ქალაქმა გარანტია გაუწიოს ამ სესხს და ეს სესხიც გადახდილ იქნეს 10 წლის განმავლობაში, წლიურათ თითო მილიონი მანეთი თავისი პროცენტით. ამ საკითხმა გამოიწვია კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს ხმოსნებმა ბბ. გომართელმა, გველესიანმა, გოთუამ, ქალაქის მოურავმა და სხვ.

ზოგიერთ ორატორების აზრით სესხი უზრუნველ ყოფილ უნდა იქნეს ქალაქის თავისუფალ მიწის ნაჭრებით, რომელიც მდებარეობენ ნავთლუღის იქით.

დასასრულ ქალაქის გამგეობის მოხსენება მიღებულ იქნა და საბჭო თანხმდება იმ პირობებზე, რომელიც დაუდვა მთავრობამ. შემდეგ განხილული იქმნა რამდენიმე წვრილი საკითხი.

საბჭოს ხსენდება ქალაქის გამგეობის წევრის ბ. მასალკინის განცხადება სამსახურიდან გადადგომის შესახებ. საბჭო იღებს ამ განცხადებას და კანდიდატათ ირჩევს ბ-ნ გ. მაჭავარიანს (სოც. დემ. ფრაქც. წევრს).

საბჭოს ხსენდება ქალაქის გამგეობის განცხადება ქალაქის გამგეობის შემადგენლობის გაძლიერების შესახებ 6 წევრის მაგიერ შვიდ წევრით. აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ საბჭო იღებს ამ მოხსენებას, ხოლო არჩევნებს შემდეგ კრებისათვის სდებს.

# იტალიელთა მისიაში.

იტალიელთა მისიის წევრები, რომელთაც ინახულეს მთელი ამიერ კავკასიისა და კერძოთ საქართველოს ყველა კუთხეები აღნიშნავენ, რომ სასოფლო მეურნეობა ძლიერ დაბალ საფეხურზე სდგას, განსაკუთრებით მებაღეობა. მათი ფიქრით ამიერ კავკასიაში რომ კარგათ მოეწყოს სასოფლო მეურნეობა და განსაკუთრებით ხილეულობის საქმე ამიერ კავკასია შესძლებდა დიდძალი ხილეულობა მიეწოდებინა ევროპის ბაზრებისათვის.

# სახელმწიფო უნივერსიტეტში

## ლექციების კითხვის დასრულება

სახელმწიფო უნივერსიტეტის სიბრძნის მეტყველების ფაკულტეტზე უკვე დასრულდა მიმდინარე სექტემბერში საჭირო ლექციების კითხვა შემდეგ საგნებში: ენათ მეცნიერების შესავალში, ლოღიკაში, ფსიქოლოგიაში, ფსიქოლოგიის ისტორიაში და ფილოსოფიის ისტორიაში.

## მეცადინეობის შეწყვეტა

სახელმწიფო უნივერსიტეტში წელს მეცადინეობა 15 ივნისამდი გაგრძელდება.

## სამეცნიერო-სალიტერატურო წრეში

ორშაბათს, ივნისის 2, სტუდენტმა ვ. გორგაძემ სამეცნიერო-სალიტერატურო წრეში წაიკითხა რეფერატი „ძველი ქართული/სასულიერო პოეზია“. რეფერენტმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ქართულ ლექსთ წყობის წარმოშობას და მისცა მსმენელებს მისი თანდათან განვითარების მთლიანი წარმოდგენა.

## სალიტერატურო ჟურნალი.

სამეცნიერო-სალიტერატურო წრის გამგეობამ გადასწყვიტა ამ ზაფხულზე გამოსცეს სამეცნიერო და სალიტერატურო სტუდენტების ჟურნალი, რისთვისაც შეადგინა განსაკუთრებული კომისია და მასალების შეგროვებასაც შეუდგა.

## სტუდენტების სასადილო.

უკვე გაიხსნა და მოქმედებას შეუდგა სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სასადილო, რომელიც მოთავსებულია ერევნის მოედანთან ყოფილ კაფე „კარა-ლიდოს“ ბინაზე. სასადილოში სადილის მიღება შეუძლიათ ყველა სტუდენტებს, განურჩევლად ეროვნებისა და აგრეთვე კერძო პირებსაც. გარდა სადილისა იქვე მზადდება ჩაი და ნამცხვარი დილა-სასაღამოობით.

## მედიკურ ფაკულტეტის სტუდენტების საღამო.

დღეს, ქართული კლუბის დარბაზში გაიმართა საღამო მედიკურ ფაკულტეტის სტუდენტების სასარგებლოთ, ცნობილ ძალების მონაწილეობით ვახშმითა და ლოტოთი. საღამოს შემოსავალი სახელმძღვანელო წიგნებისა და ლექციების გამოცემას მოხმარდება.

## სტუდენტთა დრამატიული წრის დაარსება.

სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდ. ზაალ ჩიხლაძის თაოსნობით დაარსდა სტუდენტ მსმენელთა დრამატიული წრე. წრის წევრების პირველმა კრებამ 30 ივნის შეიმუშავა თავის სამოქმედო გეგმა და აირჩია სათანადო გამგეობა. აღნიშნული წრე მიზნათ ისახავს გაანვითაროს სტუდენტებში მისწრაფება დრამატიული ხელოვნებისადმი და დრამატიულ საღამოების მოწყობით დახმარება გაუწიოს სტუდენტთა კავშირს. იგი მიზნათ ისახავს აგრეთვე შეაკეთოს უნივერსიტეტის სააქტო ზალა, რომლისათვისაც საჭირო თანხა პროფესორთა საბჭომ სხვა ხარჯებთან ერთად უკვე გამოსთხოვა განათლების მინისტრს. გარდა ზალის მოწყობისა განზრახული აქვთ მთავრობის დახმარებით შეიძინონ იაფ ფასებში სამუსიკო ინსტრუმენტები და აგრეთვე ნოაწყონ დაბა სოფლებში ლექცია-წარმოდგენები.

## მილოცვა ნინო ჩხეიძეს.

სტუდენტთა დრამატიული წრის გამგეობამ შემდეგი საიუბილეო მილოცვა გაუგზავნა მსახიობ ქალს ნინო ჩხეიძეს:

„სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტმსმენელთა დრამატიული წრე ახალგაზდური სიყვარულითა და აღფრთოვანებით ულოცავს ჩვენი სამშობლო სცენის ვარსკვლავს ნინო ჩხეიძის ასულს თავის მოღვაწეობის 25 წლის თავს და უსურვებს მას ჯანმრთელობას თავისუფალ საქართველოს ხელოვნების ტაძრის დასამშვენებლათ“.

## პროფესორის მოწვევა.

განზრახულია საეკონომიო დარგზე მომავალი წლიდან ბ. ფ. გოგიჩაიშვილის გარდა მე ორე პროფესორის მოწვევა პოლიტიკურ ეკონომიიდან ლექციების საკითხავათ.

# საყურადღებო ხელთნაწერები

(წერილი რედაქციის მიმართ)

ბ. რედაქტორო, გთხოვთ თქვენს პატივცემულს გაზეთში ამ წერილს ადგილი დაუთმოთ და დაბეჭდოთ.

46 წელიწადია, რაც მე ქართულ წიგნებს ვბეჭდავ, დავბეჭდე ბევრნაირი წიგნები, რომელთა სიასაც კი ვერ მოვიგონებ. ჩემდა სამწუხაროდ დამრჩა კიდევ ბევრი რამ დასაბეჭდი და განსაკუთრებით შეკრებილი მასალები, რომელთა დაბეჭდას მე ვეღარ მოვესწრები, რადგანაც სტამბის და ქაღალდის სიძვირე ისე წავიდა წინ, რაც აშკარა მტრობას უწევს ქართულ გამოცემის საქმეებს.

რადგანაც ამ წიგნებს გამოცემა არ ეღირსება, თქვენი გაზეთის საშუალებით იგინი ცნობილ მაინც იქმნენ სავსებით.

1. ხელნაწერი ორი ტომი „ბატონ-ყმობის ისტორიის მასალები“. ამ მასალებით ბევრნი ისარგებლებენ და დასწერენ მოთხრობებს, პოემებს და პუბლიცისტურ წერილებს. ორივე წიგნი გამოვა 1,000 გვერ. ამ ხელნაწერებით ისარგებლა ფილ. მახარაძემ, როცა მან დასწერა დანიელ ჭონქაძე.

2. „ქართულ მკურნალობის ისტორიის მასალები“ ერთი ტომი, გამოვა 500 გვ. უძველესის დროიდან, ამ წიგნის წინასიტყვაობა ცალკე წიგნად გამოვეცი. იგი რუსულად სთარგმნა პროვიზორმა ალ. ალხაზიშვილმა და დაბეჭდა რუსულს ჟურნალს „კავკასკი ვესტნიკში“ 1901 წ.

3. მუშა და ხელოსან ხალხთა რიცხვი ქართველ მეფეების დროს და სახელოსნო და სამუშავო ცხოვრების ცნობები. ერთი ტომი გამოვა 600 გვ.

4. ამქრული წესწყობილება საქართველოში, ერთი წიგნი, ამის წინასიტყვაობა დავბეჭდე აკაკის ჟურნალ „კრებულში“ და ცალკეც გამოვეცი პასუხათ სომეხთ პროფესორის ეგიაზაროვის წინააღმდეგ, რომელმაც 1910 წ. ყაზანში რუსულად დაბეჭდა წიგნი და საქართველოში ამქრული წესები მარტოდ სომხებს აკუთვნა.

5. ვაჭრობა და მრეწველობა საქართველოში, ორი ტომი. აქედან დავბეჭდე ერთი ტომი, სახელდობრ დავ. სარაჯიშვილის და ზუბალაშვილების და სხვათა მრეწველობის საქმენი. ერთი ტომი დამრჩა დაუბეჭდავი.

6. „ქართველ მაჰმადიანთა ცხოვრება“ ერთი ტომი,-შიგ მოთავსებულია შემდეგი წერილები? 1. ქართველ მაჰმადიანთა თარეში ანუ ცრუმორწმუნოება მათი; 2. ქართველ მაჰმადიანთა ლარიბ-ლატაკნი და მათი ცხოვრება; 3. მრავალ ცოლიანობა ქართველ მაჰმადიანებში; 4. რა ენით უნდა განათლდნენ ქართველ მაჰმადიანთა ძენი; 5. ქართველ მაჰმადიანთა გადაგვარების საქმე ოსმალეთის საქართველოში; 6. როგორ და რა პირობით დაიჭირა ოსმალეთმა სამხრეთ საათაბაგო; 7. სელიმ-ფაშა ხიმშიაშვილი და მისი ბრძოლა არტაანის ოლქში და 7 სხვა ასეთი შინაარსის წერილები, სულ კი 15 მეტი წერილები გახლავთ. ზოგი წერილების თითო თავი ძველს ქართულ გაზეთებშია დაბეჭდილი, უმეტესი ნაწილი კი დაუბეჭდავი არის დღემდის დარჩენილი.

რადგანაც ამ წიგნებს დაბეჭვდა არ მოელის, ცნობილ მაინც იქმნას თქვენი გაზეთის საშუალებით მათი არსებობის ცნობები.

ზ. ჭიჭინაძე.

# მილიციაში.

## ბ. სულაქველიძის ბრძანებიდან:

საზურთალოს კომისარიატის დათვალიერებამ სამწუხაროთ დამარწმუნა, რომ კომისარიატში მეტათ სუსტათ არის დაყენებული სამსახურის საქმე. კომისარიატის სადარაჯოებზე მართალია იდგნენ მილიციონერები, მაგრამ მიუხედავათ კომისართა გაფრთხილების, რომ მათ მეც და ჩემი თანაშემწენიც უნდა ვცნობოდეთ პირადათ, მათ არ მაღირსეს თავის სალამი. კომისარიატში რომ შევედი მე ვერ გამოვარკვიე მორიგი უფროსი მილიციონერის როლი, რადგანაც მოხსენების მიმღები ჩემს წინაშე იგი მეტ ზედმეტ სთვლიდა. მილიციონერთა აპატიური გამომეტყველება ამტკიცებდა თითქოს ისინი საგანგებოთ იყვნენ დარჩეულნი უსიცოცხლო კომისარიატისათვის და მათი გამომეტყველება თითქოს გთხოვდეთ, რომ მათი მყუდროება არ დაარღვიოთ. აკლიათ მათ მალხაზი, მკვირცხლი მილიციონერის შესაფერი მიხვრა-მოხვრა, კომისარ მახვილაძეს მოუხდებოდა გამოფხიზლება შემოქმედ მუშაობისაკენ და გამოეფხიზლებინა თვისთან ერთათ თავისი უმცროსი თანამსახურნიც.

## ყალბი ბონები.

შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებულ განსაკუთრებულ რაზმის უფროსის კედიას მიერ დატუსაღებულია მიხეილ მელიქისედეკის ძე გურგენიძე, ალი ვაიდაგოვი, მუსა კალანდაროვი და აპალონ გლახუას ძე ჯაფარიძე ყალბი ბონების გასაღებისთვის. მათ ჩამოართვეს 50 მ. ყალბი ბონები 100.000 მანეთისა.

—

6 ივნისს მე-4 უბნის კომისარიატის უმცროს მილიციელმა კონიაშვილმა ვორონცოვის ძეგლთან რევოლვერით მოჰკლა მე-9 უბნის კომისარიატის მილიციელი და ერთი ინგლისელი ჯარისკაცი. მიზეზი გამოურკვეველია. მკვლელი კობიაშვილი მიიმალა.

—

სისხლის სამართლის მილიციელებმა ქურდობისათვის დააპატიმრეს არამიანცი, კორგოვიტოსი, ავაკუმოვი, იშხანოვი, ამირბეგოვი, მახარაძე, თორთლაძე და კვერკველია.

## ფირან ზანდუკლის მოკვლა.

დიდი ხანია მილიცია თავ გამოდებით დასდევდა დასაჭერათ ფირან ზანდუკელს, რომელსაც ბრალი ედებოდა პირველ კომისარიატში მილიციელის და გვარდიელის მკვლელობისა, არამიანცის მოტაცებაში მონაწილეობის მიღება და სხვა.

მილიციამ ცნობა მიიღო, რომ ზანდუკელი იმალება ჯვრის მონასტერში, რომელიც მდებარეობს მცხეთის გასწვრივ მთის მწვერვალზე. 7 ივნისს, ნაშუადღევის $1^1/_2$ საათზე, ქალაქიდან ორი ავტომობილით გაემგზავრენ ქალაქის მილიციის უფროსი ბ. სულაქველიძე, სისხლის სამართლის მილიციის უფროსი ბ. პაჩულია, საგანგებო რაზმის უფროსი ბ. კედია მილიციონერებთა და საგანგებო რაზმელებთან ერთათ.

რკინის გზის დიდ მცხეთის ხიდიდან ყველა ესენი ფეხით შეჰყვნენ მთის ფერდობს, ასე 8 ვერსის მანძილზე და გათენებისას მიაღწიეს მონასტრის მიდამოებს და ალყა შემოარტყეს მონასტერს.

მონასტრის გალავანში პირველათ შევიდნენ მილიციის უფროსი ბ. სულაქველიძე და სისხლის სამართლის მილიციის უფროსი ბ. ფაჩულია და მილიციელთა თანხლებით შეუდგნენ მონასტრის ბინებისა და საკანთა ჩხრეკას. მონასტრის მოდარაჯე ბერის ჩვენების ჩამორთმევის შემდეგ დარწმუნდენ, რომ მონასტერში არავინ იმალება. დარჩათ მხოლოთ გასაჩხრეკი ერთი მივარდნილი ბინა, რომელიც არც კი იწვევდა რაიმე ეჭვს. ვიდრე ამ ბინას გასჩხრეკდენ ყველა იქ მყოფნი ჩამოსხდენ დასასვენებლათ.

გამოღვიძებია ზანდუკელს, და საზარი სროლა აუტეხია იმ მივარდნილ ბინიდან, რომლის გაჩხრეკასაც ბოლოს აპირებდა მილიცია. ზანდუკელს აუხმაურებია მაუზერი, ვინტოვკა, გადმოუსვრია ყუმბარა, რომელიც არ გამტყვრალა და უყვირია „მომშორდით თორემ დაგხოცავთო“, მილიციამ და საგანგებო რაზმმა დაიკავა პოზიციები და სროლითვე გასცა პასუხი და სრულიათ დახვრიტა ეს ბინა. როცა ზანდუკლის მხრივ სროლაზე პასუხი აღარ ისმოდა, მაშინ მილიციამ ბინაში გაგზავნა ის ბერი, რომელიც წინათ ამტკიცებდა არა ვიცი-რაო. ბერმა მოიტანა ამბავი, რომ ზანდუკელი უკვე მკვდარი არისო. მილიცია შევიდა და მართლაც ზანდუკელი მკვდარი ნახა. მის გარდა ამ ბინაში არავინ არა სჩანდა. მოკლულს აღმოაჩნდა 2 ყუმბარა 1 რუსული კარაბინი, 1 მაუზერი, 1 ბრაუნინგი და ორი ოქროს თუმნიანი. აქვე იყო დაბმული მისი ცხენი. მილიციამ ზანდუკლის გვამი ურმით გამოისტუმრა ტფილისში და არამიანცის სამკურნალოში მოათავსა. ბერი დააპატიმრა. მის ბინაზე ჩხრეკის დროს აღმოჩნდა გასროლილი გილზები და ბინოკლი.

# ქუთაისი

## 25 წელიწადი სამწერლო ასპარეზზე.

ამ წლის სექტემბერში 25 წელიწადი შესრულდება რაც დამსახურებული ბელეტრისტი

ია ეკალაძე სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა-ამის გამო მწერალთ კავშირს გადაწყვეტილი აქვს მას იუბილე გადაუხადოს.

— შინაგან საქმეთა სამინისტრო ატყობინებს ქუთაისის სამაზრო ერობას, რომ ყველა სამაზრო ერობები მათ ხელში გადადის. მაგ. სამაზრო ერობების ხელში გადადის ნაქერალას გზა 17 ვერ. მანძილზე და სენაკის-ორპირი-სამტრედიის გზა 6 ვერსის მანძილზე.

— ტფილისიდან ქუთაისის სამაზრო ერობას ატყობინებენ რომ გაგზავნონ ტფილისში მედიკამენტების მისაღებათ წარმომადგენელი.

— წყალტუბოს საზოგადოების მცხოვრებლებმა 26 მაისის კრებაზე დადგენილებით უარი განაცხადეს საგზლო გზების შეკეთებაზე, რომლის შეკეთება გადაწყვეტილი ჰქონდა ქუთაისის სამაზრო ერობას მათი დახმარებით.

— ქალაქ ფოთის კომისარი შ ნავან საქმეთა ადმინისტრაციის ინსპექტორის თანაშემწეს ატყობინებს, რომ 21 მაისიდან იქ არავითარი თვალ-საჩინო შემთხვევა არ მომხდარა.

—

5 ივნისს შესდგა ქალაქის საბჭოს პირადი შემადგენლობის კომისიის სხდომა. სხდომამ იქონია მსჯელობა ქალაქის მოსამსახურეების შტატის გადასინჯვაზე, და დაადგინა შტატი მოსამსახურეებით ახლო მომავალში გადასინჯულ იქნეს.

# სხვა და სხვა.

სახელმწიფო თეატრის კანტორა წინადადებას აძლევს მათ, ვისაც აქვს სახელმწიფო თეატრის ყოფილ მოლარე ქალის პლიამისგან მიღებული ჩეკები—გამოცხადდნენ სახელმწიფო თეატრის კანტორაში ჩეკებით. ფულის მიღება შეიძლება დღიდან განცხადებისა მხოლოდ ერთი კვირის განმავლობაში, შემდეგ კი ჩეკები გაუქმებულად ჩაითვლება.

✦ სარწმუნო წყაროებიდან იტყობინებიან, რომ ინგლისისა და სამხრეთ ამერიკის ბანკირები ელნი მელსი კერიკი და ჩრდილო ამერიკის სახაზინო კომპანია შეერთდენ ერთ კომპანიათ. კომპანია სხვათა შორის გახსნის თავის განყოფილებას ტფილისში, რომელიც მთელ კავკასიაში აწარმოებს ოპერაციებს.

✦ გერმანულ კავკასიური ბანკი, რომელიც მოთავსებული იყო ტფილისში არამიანცის სახლში და დაკეტილ იქნა ინგლისელების მიერ ამ დღეებში თავის მოქმედებას განაახლებს.

✦ ცენტრალურ სასურსათო საბჭოს თავმჯდომარეთ პეტროგრადის ყოფილი ქალაქის თავი გ. შრეიდერი (სოც.-რევ.) დაინიშნა.

✦ ავლაბარში, კაბგეროვის ქუჩის სახლის პატრონებმა 2 ივნისის ყრილობაზედ დაადგინეს ალკოჰოლის ამ რაიონის დუქნებში არღნები (აომანხა), რომელნიც ეს ერთი წელიწადია განუწყვეტლივ ჰყაპინებდნენ ამ დუქნებში, მშვიდობიან მცხოვრებლებს უზომოდ აწუხებდნენ, ხოლო ნაძირალებს საქეიფოდ აღიზიანებდნენ. ადგილობრივმა მილიციამ ეს დადგენილება უკვე მოიყვანა სისრულეში, მცხოვრებნი ძლივს ელირსნენ მშვიდობიანობა—წყნარობას და ძლიერ მადლობელნი არიან მეშვიდე უბნის ახალ კომისრისა.

✦ პროფესიონალური კავშირის საორგანიზაციო კომისია აცხადებს რომ დღეს 1 1/2 ს. ერობის გამგეობის ბინაზე რუსთაველის ქ. № 6 მოწვეულია დამფუძნებელი კრება ერობის მოსამსახურეთა კავშირის წესდების განსახილველად.

✦ დღეს, სახალხო სახლში გაიმართება სალიტერატურო საღამო. საქართველოს ეხლანდელი მდგომარეობის შესახებ სიტყვას წარმოსთქვამს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარე ალ. ლომთათიძე. სხვა განყოფილებებში მონაწილეობენ: გალაკტიონ ტაბიძე, გ. ქუჩიშვილი, ი. ყიფიანი, ვ. რუხაძე, ხ. ჩიქავაძე, სარიტონ ვარდოშვილი, ს წეველი, ი. ბარველი, და სხვ. ნიკო გოცირიძე წაიკითხავს ახალ სცენებს.

✦ კვირას, სიონის ტაძარში წირვის დროს პირველად შესრულდა ახალი ლიტურღია და მუსიკა დ. არაყიშვილისა. მლოცველნი ორ დარგად დაიყო: ახალის მოტრფიალენი და ძველ მამა პაპური გალობის მთხოვნი. საზოგადოების თხოვნით პარასკევს, 13 თიბათვეს კონსერვატორიაში იმართება მესამედ „საეკლესიო კონცერტი“ მუს. დ. არაყიშვილისა.

ივნისის 9, სემენოვის ქუჩაზე, მცხოვრებ ს. იპოხსკის ბინიდან მოიპარეს სხვა და სხვა ნივთები 8,000 მანეთად ღირებული.

—

ივნისის 9, ღამით რამდენიმე შეიარაღებულნი პირნი თავს დაესხნენ გ. მიაზოვს ქუთაისისა და ალექსანდრეს ქ. ყურეს და მძიმედ დასჭრეს.

## განცხადებანი

1918 წლის ნოემბრის 20-ს ტფილისის ოლქის სასამართლოს უფროსმა ნოტარიუსმა დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი, რომლითაც ელისაბედ გრიგოლის ასულმა წათიშვილმა 221879 მ. 8 კ. მიჰყიდა დიმიტრი ერასტის-ძე ჩოლოყაშვილს მიწის ნაჭერი, ზომით 138, 70 ოთკ. ს. მდებარე ქ. ტფილისში. 1 უბან. ქალაქის № 2241, გადახდილია: სააქტო 3. მ. განცხადების 1 მ. 50 კ. გადასაწერი 1 მ. 80 კ და სიმტკიცის 8875 მ. 20 კ. მთავარი ამონაწერი 1160 მ. ღირებრლების სალერბო ქაღალდზე მიცემულია. 166 1—1

1918 წლის, ნოემბრის 19 ს ტფილისის ოლქის სასამართლოს უფროსმა ნოტარიუსმა დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი, რომლითაც ვასილ ზაქარიას ძე შიშოკმა 10000 მ. მიჰყიდა მონა მოსეს ძე არევაძეს მიწის ნაჭერი შენობებით, ზომით 90 ოთკ. ს., მდებარე ქ. ტფილისში ქალაქის № 105 №-1 გადახდილია: სააქტო 3 მ., განცხადების 1 მ. 50 კ., გადასაწერი 60 კ. და სიმტკიცის 400 მ.. მთავარი ამონაწერი 50 მ. ღირებულების სალერბო ქაღალდზე მიცემულია. 165 1—1

1918 წლის დეკემბრის 6-ს ტფილისის ოლქის სასამართლოს უფროსმა ნოტარიუსმა დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი, რომლითაც გიორგი, პლატონ და ფარსადან დიმიტრის ძე ლომიძეებმა 76000 მ. მიჰყიდეს ვლადიმერ ესტატეს ძე შატბეროშვილს მიწის ნაჭერი, ზომით 129 ოთხკ. ს. და 12 ოთხკ. ფუტი., მდებარე ქ. ტფილისში, 1-ლ უბანში გუნიბის და ვარდის უბნის ქუჩებზე, ქალაქის № 1638. გადახდილია: სააქტო 3 მ., განცხადების 1 მ. 50 კ., სიმტკიცის 3040 მ. მთავარი ამონაწერი 380 მ. ღირებულების სალერბო ქაღალდზე მიცემულია. 237 1—1

ქუთაისის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 1919 წლის აპრილის 10 ს დამტკიცებულია 1919 წლის მარტის 27 ს შედგენილია ნასყიდობის სიგელი, რომლითაც ალექსანდრე ბესარიონის-ძე მხეიძემ 2000 მან. მიჰყიდა ნოე მამუჩარის ძე კახიანს მიწის ნაჭერი დ.-სენაკში, ზომით 480 ოთხკ. ს. გადახდილია სიმტკიცის 80 მან. მთავარი ამონაწერი 10 მან. ღირებულების სალერბო ქაღალდზე მიცემულია. 731 1—1.

1918 წლის დეკემბრის 6 ს ტფილისის ოლქის სასამართლოს უფროსმა ნოტარიუსმა დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი, რომლითაც ლევან დავითის ძე აკოპოვმა 2000 მან. მიჰყიდა ნიკოლოზ ივანეს ძე პაპუაშვილს მიწის 2 ნაჭ. ზომით: 1-სიგანით ჩრდ. 10 ს $2^3/_4$ სიგრძ. აღმოს.-16 საჟ., დასავლ. 16 ს. $2^3/_4$ არ., მეორე სიგან. აღმ. 5 საჟ $1^1/_2$ არ. დასავ.-6 საჟ. 2 არ, სიგრძ. ჩრდ. 7 საჟ. $1^3/_4$ არ., სამხრ.-7 საჟ. $1^1/_2$ არ., მდებარე ქ. ხაშურში გადახდილია: სააქტო 3 მ., განცხადების 1მ. 50 კ., გადასაწერი 60კ., სიმტკიცის 80 მ. მთავარი ამონაწერი 10 მ. ღირებულების სალერბო ქაღალდზე მიცემულია. 236 1—1

იფრემია ელკაზარეს ძე ალელიშვილი აცხადებს, რომ დაჰკარგა პასპორტი მთელი ოჯახის, მიღებული ტფილისის მილიციის სამმართველოდან 1918 წელს. პასპორტი გაუქმებულათ უნდა ჩაითვალოს დღიდან განცხადებისა. 749 3—1

ვაცხადებ, რომ კავკასიის სამმართველო კოოპერატიულ ამხ ნავთის გამგეობის გადაწყვეტილებით 1919 წ. ივნისის 1 დან მოხდება აღნიშნულ კოოპერატივის ლიკვიდაცია. საქმის ლიკვიდაცია დავალებული მაქვს მე.
ამხანაგობის თავმჯდომარე ნ. კედროვი. 751 1—1

დუბლიკატი № 036517, რომლითაც გაგზავნილი იყო 1917 წ ოქტომბრის 20, ტფილისიდან მოსკოვში, 133 ტომ. 512 ფ. 15 გირი, საქონელი, ნ. ფეტერის და გ. ვინკელის სახელზე, დაიკარგა. საქონელი გაგზავნილია საქონლის პატრონის ა. ტერ-აირაპეტიანის მიერ. დუბლიკატი გაუქმებულათ უნდა ჩაითვალოს. 738 3—2

ქუთაისის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 1919 წლის აპრილის 8 ს დამტკიცებულია, 1918 წლის ივნისის 1-ს შედგენილი ნასყიდობის სიგელი, რომლითაც პარასკევა სამსონის ასულმა ქავთარაძემ 3000 მან. მიჰყიდა მენიკა ივგენის ასულს შამუგიას მიწის ნაჭერი დაბა ახალ სენაკში, ზომით $120^{70}/_{100}$ ოთხკ. ს. გადახდილია: სიმტკიცის 240 მან. მთავარი ამონაწერი 30 მან. ღირებულების სალერბო ქაღალდზე მიცემულია. 734 1—1

20 მაისს ოთახის გამქურდველმა ბოროტგამზრახველებმა წაიღეს აგრეთვე ტფილისის პოლიტეხნიკუმის მიერ მოცემული ჩემი პიროვნების მოწმობა, რომელსაც გთხოვთ გაბათილებულათ ჩათვალოთ. სტ. თ. ნაცვლიშვილი, სასტუმრო „კავკაზი“. 746 3—1

1918 წლის ნოემბრის 9 ს ტფილისის ოლქის სასამართლოს უფროსმა ნოტარიუსმა დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი, რომლითაც ანისია ვასილის ასულმა კოკალიევსკაიამ 7500 მ. მიჰყიდა გიორგი ლევანის ძე გემჯელოვს, მიწის ნაჭერი ზომით 53, 23 ოთხკ. ს., მდებარე ქ. ტფილისში მე 7 უბანში, ქალაქის № 463. გადახდილია: სააქტო 3 მ., განცხადების 1მ. 50 კ. და სიმტკიცის 300 მ., მთავარი ამონაწერი 37 მ. 50 კ. ღირებულების სალერბო ქაღალდზე მიცემულია. 201 1—1

1918 წლის ნოემბრის 6-ს ტფილისის ოლქის სასამართლოს უფროსმა ნოტარიუსმა დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი, რომლითაც ელენე ვასილის ასულმა ტაუჯენმა, კონსტანტინე და გიორგი ვასილის ძე ჩილოვებმა, ბარბარე ვასილის ასულმა ოკლიამ და ეკატერინე ვასილის ასულმა ჩერნიავსკაიამ 60.000 მან. მიჰყიდეს ელენე ივანეს ასულს პიშნენკოს მიწის ნაჭერი, ზომით 317 ოთხკ. ს. მდებარე ქ. ტფილისში, 1 უბან. ქალაქის № 1183. გადახდილია: სააქტო 3 მ., განცხადების 1 მ. 50კ., გადასაწერი 60 კ. და სიმტკიცის 2400 მ., მთავარი ამონაწერი 300 მ. ღირებულების სალერბო ქაღალდზე მიცემულია. 194 1—1

ქუთაისის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 1919 წ. მაისის 2-ს დამტკიცებულია, 1919 წ. მარტის 5-ს შედგენილი ნასყიდობის სიგელი, რომლითაც ფოტინე დავითის ასულმა ქვარიანმა 10.000 მ. მიჰყიდა აკაკი ბიჭიას ძე გიგაშვილს მიწის ნაჭერი შენობებით, მდებარე ქ. ქუთაისში, პოლიციის ქ., ზომით: ა. $212^{50}/_{100}$ დ.-$28^8/_{100}$ ს., ჩრდ. $7^7/_{100}$ ს. ს.-7 ს. $^8/_{10}$ ს. სიმტკიცის გადასახადათ მიღებულია 400 მ. მთავარი ამონაწერი 50 მ. ღირებულების სალერბო ქაღალდზე მიცემულია 1919 წ. მაისის 2 ს. 957 1—1

ქუთაისის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 1919 წლის აპრილის 11-ს დამტკიცებულია 1919 წლის აპრილის 8 ს შედგენილი ნასყიდობის სიგელი, რომლითაც ნიკოლოზ ტრიფონის ძე ლომსიანიძემ და იოსებ გრიგოლის ძე ფულარიამ 15,000 მან. მიჰყიდეს იასონ მოსეს ძე გორგოძეს მიწის ნაჭერი, ქ. ქუთაისში კახიანოურში, ზომით 600 ოთხ. ს. გადახდილია: სიმტკიცის 600 მან. მთავარი ამონაწერი 75 მან. ღირებულების სალერბო ქაღალდზე მიცემულია. 730 1—1

ქუთაისის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს რომ 1919 წლის აპრილის 10 ს დამტკიცებულია, 1919 თებერვლის 13-ს შედგენილი, ნასყიდობის სიგელი, რომლითაც სამსონ, ნინო ვლადიმერ და ლარისა ქაიხოსროს ძე ჭკაიძეებმა 13,196 მ. 25 კ. მიჰყიდეს იოსებ დავითის ძე ავალიანს მიწის ნაჭერი, ზომით $95^{75}/_{100}$ ოთხკ. ს. ქ. ქუთაისში კარლოვის შესახვევში. გადახდილია: სიმტკიცის 527 მ. და 85 კ. მთავარი ამონაწერი 70 მ. ღირებულების სალერბო ქაღალდზე მიცემულია. 732 1—1.

სოხუმის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 1919 წლის აპრილის 10 ს დამტკიცებულია, სოხუმის ნოტარიუსის ზალტვორნიცკის შედგენილი ნასყიდობის სიგელი, რომლითაც ანნა პეტრეს ასულმა ფედოროვამ 510.000 მან. მიჰყიდა მოსე სამოელის ძე მინნოვს, მიწის ნაჭერი შენობებით, ზომით 950 ოთხკ. ს. მდებარე სოხუმში, უბ. ლიტ. „H“ №№ 2 და 3. გადახდილია: სიმტკიცის 2000 მ. მთავარი ამონაწერი 250 მ. ღირებულების სალერბო ქაღალდზე მიცემულია. 740 1—1.

ქუთაისის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 1919 წ. აპრილის 11-ს დამტკიცებულია იმავე წლის აპრილის 6 ს შედგენილი, ნასყიდობის სიგელი, რომლითაც ნიკოლოზ ტრიფონის ძე ლომსიანიძემ და იოსებ გრიგოლის ძე ფულარიამ 4500 მან. მიჰყიდა ევტიხი ნიკოლოზის ძე ჩხატარაშვილს მიწის ნაჭერი, მდებარე ქ. ქუთაისში კახიანურში, ზომით სიგრძ.—აღმ. და დას.—30—ს., განით—ჩრდ. და სამხრ.—20—20 ს. სიმტკიცის გადასახადათ მიღებულია 180 მან. მთავარი ამონაწერი 22 მ. 50 კ ღირებულების სალერბო ქაღალდზე მიცემულია 1919 წ. აპრილის 11-ს. 766 1—1

1918 წლის ნოემბრის 20-ს ტფილისის ოლქის სასამართლოს უფროსმა ნოტარიუსმა დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი, რომლითაც ალექსანდრე მათეს ასულს მ... 5000 მან. მიჰყიდა ... მიწის ნაჭერი, დაუზღვეველი შენობებით, ზომით 71 ოთხკ. ს. მდებარე ქ. ტფილისში 11 უბანში, ქალაქის № 392—25. გადახდილია: სააქტო 3 მან., განცხადების 1 მან. 50 კაპ., გადასაწერი 60 კ. და სიმტკიცის 200 მან. მთავარი ამონაწერი 25 მან. ღირებულების სალერბო ქაღალდზე მიცემულია. 164 1—1

1918 წლის ნოემბრის 20-ს ტფილისის ოლქის სასამართლოს უფროსმა ნოტარიუსმა დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი, რომლითაც გრიგოლ ივანეს ძე ტრომენკომ 2000 მან. მიჰყიდა ანთიმოზ მიქელას ძე ნიკოლაიშვილს, მიწის ნაჭერი, ზომით 64 ოთხკ. ს., მდებარე ქ. ტფილისში 11 უბანში. ქალაქის № 376 I 182. გადახდილია: სააქტო 3 მან., განცხადების 1 მ. 50 კ., გადასაწერი 60 კაპ. და სიმტკიცის 80 მან. მთავარი ამონაწერი 10 მან. ღირებულების სალერბო ქაღალდზე მიცემულია. 163 1—1

1918 წლის ნოემბრის 20-ს ტფილისის ოლქის სასამართლოს უფროსმა ნოტარიუსმა დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი, რომლითაც იულიან კარლოსის ძე იაკუბოვსკიმ 450 მან. მიჰყიდა ვოიცეხ იანის ძე კრუს მიწის ნაჭერი დაუზღვეველი შენობებით, ზომით $187^{75}/_{100}$ ოთხ. ს. მდებარე ქ. ტფილისში ყოფილ აგარაკ „საგაბაშვილო თხინვალში.“ გადახდილია: სააქტო 3 მ., განცხადების 1 მ. 50 კ., სიმტკიცის—18 მ. მთავარი ამონაწერი 2 მ. 50 კ ღირებულების სალერბო ქაღალდზე მიცემულია. 239 1—1

რესპუბლიკის ჯარების სამხედრო სასამართლო ამა წლის 14 მაისის დადგენილებით თანახმად სამხედრო სამოსამართლო წესდების 951 მუხ. ეძებს ქუთაისის გუბერნიის ქ. ახალ-სენაკის მცხოვრებს სახალხო გვარდიის ცხენოსანთა მე 2 ასეულის მხედარს პორფილე გიორგის ძე თოფურიძეს ოცდა ერთი წლის, რომელსაც ბრალი ედება ბოროტ-მოქმედებაში, რომელიც გათვალისწინებულია 3 რიგელი ნახევრით მე 3 ნაწილის 232 მუხ. XXII წიგ. ს. დ. კ. 1869 წ. მე 4 გამოცემით.
ყველა ვინც კი იცის სად იმყოფება თოფურიძე ვალდებულია განუცხადოს რესპუბლიკის ჯარების სამხედრო სასამართლოს, რომელიც იმყოფება ქ. ტფილისში ოლღას ქუჩა № 48. 3—

არჩილ დიმიტრის ძე იეგორაშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ყოფილ სათავადაზნაურო გიმნაზიიდან 1915 წელს მიცემული ატესტატი, რომელიც გაუქმებულათ უნდა ჩაითვალოს. 741 3—2

1918 წლის ნოემბრის 19-ს ტფილისის ოლქის სასამართლოს უფროსმა ნოტარიუსმა დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი, რომლითაც დავით, ტარასი, მიხეილ, და სიმონ გრიგორის ძე რცხილაძეებმა 45000 მან. მიჰყიდა დავით ნიკოლოზის ძე და მარიამ სპირიდონის ასულ სიხარულიძეს, მიწის ნაჭერი ზომით სიგძ.—22 ს. და სიგანით აღმოსავლეთით 14 ს. დასავლეთით 12 ს., მდებარე ქ. თელავში ტფილისის გუბერნიაში, № 2260. გადახდილია: სააქტო 3 მ., განცხადების 1 მ. 50 კ., სიმტკიცის 1800 მ., მთავარი ამონაწერი 225 მან. ღირებულების სალერბო ქაღალდზე მიცემულია. 240 1—1

საფრანგეთის ქვეშევრდომი ცეცილია ბრეტონი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი. ნომერი გამოურკვეველია. 733 3—2

დავკარგე სახელმწიფო უნივერსიტეტიდან მიღებული მეტრიკული № 75. მნახველს ვსთხოვ დამიბრუნოს. 26 მაისის ქუჩ., № 15 ნინო დიასამიძე. 736 3—2

### ტფილისის
### სამხედრო ბინათა დისტანცია

ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ ამა წლის ივნისის ათს, დღის 12 საათზე, დისტანციის შენობაში (ინჟენერის ქუჩა, 2) დანიშნულია საჯარო ვაჭრობა ზეპირ და წერილობით განცხადების შემოტანით რვა ცალი ცეცხლის საქრობი „ნასოსების“ თავისი მოწყობილებით დისტანციის მიერ თავის საჭიროებისათვის დასამზადებლად. 1022 2—2

საჭიროა ძველი
# კოპიროვალნი
წიგნები. მისამართი: ველიამინოვის ქ. № 5. მკერავი ნახაპეტოვი 744 2—1